

დამტკიცებულია

სსიპ კოლეჯის „აისი დირექტორის

2020 წლის 1 დეკემბრის N 02-01-359

ბრძანებით

შევიდა ცვლილება სსიპ კოლეჯის „აისი“  
დირექტორის 2022 წლის 27 ივნისის

N02-01-219 ბრძანებით

შევიდა ცვლილება სსიპ კოლეჯის „აისი“  
დირექტორის 2022 წლის 14 დეკემბრის

N02-01-430 ბრძანებით

შევიდა ცვლილება სსიპ კოლეჯის „აისი“  
დირექტორის 2023 წლის 25 იანვრის

N02-01-18 ბრძანებით

### პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებსა და ტრენინგ-კურსებში მსმენელთა შეფასების მეთოდოლოგია

1. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასების მიდგომით. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- სწავლის შედეგი დადასტურდა
- სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა

განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

2. სწავლის შედეგის შეფასების მიზნით, შესაბამის შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავენ და ხელმოწერით ადასტურებს პროგრამის განმახორციელებელი პირი.

3. შეფასების ინსტრუმენტი, შეთანხმების (ვალიდაციის) მიზნით ხელმოსაწერად გადაეცემა სასწავლო პროცესის მენეჯერს (პროგრამის განხორციელების ადგილის შესაბამისად) სწავლის შედეგის შეფასების ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე.

4. შენიშვნების შემთხვევაში შეფასების ინსტრუმენტი შესასწორებლად უბრუნდება ინსტრუმენტის შემმუშავებელს. ინსტრუმენტი უნდა შესწორედეს ერთი დღის ვადაში.

5. ყველა შეფასების ინსტრუმენტი ექვემდებარება ვალიდაციას.

6. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთხელ, პროგრამის დასრულებამდე ნებისმიერ დროს.

7. პროგრამის დასრულებამდე ნებისმიერ დროს პროგრამის განმახორციელებელი პირი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთან შეთანხმებით ნიშნავს განმეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. აღნიშნულ ვადაში მსმენელის მიერ 1 (ერთი) მცდელობის მიუხედავად შესაბამისი სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის ან გამოუცხადებლობის შემთხვევაში, მსმენელი ვერ იღებს უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემულ დოკუმენტს - სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს პირის მიერ

პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგის მიღწევას.

8. სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდება პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებისა და ტრენინგ-კურსების შესაბამისად. შეფასება შესაძლებელია როგორც ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს ასევე, პროგრამის დასრულებისას.

9. შეფასების მეთოდი/მეთოდები მოცემულია შესაბამის პროფესიული მოზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში და ტრენინგ-კურსებში.

10. იმ პროფესიული მოზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებში და ტრენინგ-კურსებში, რომლის ზოგიერთი სწავლის შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (სასწავლო საწარმოში/კომპანიებში) საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი პროგრამის განმახორციელებელი პირი.

11. სწავლის შედეგის დადასტურება/ვერ დადასტურების შესახებ გადაწყვეტილებას სწავლის შედეგის განმახორციელებელი პირი იმავე დღეს ასახავს სწავლის შედეგების დადასტურების უწყისში და ერთი დღის ვადაში აცნობს მსმენელს.

12. მსმენელის მიერ შეფასების შედეგის გასაჩივრების უფლება წარმოეშობა შედეგების გაცნობიდან მომდევნო სამუშაო დღეს. მსმენელი შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით, განცხადებით მიმართავს დირექტორს, რომელიც იმავე დღეს ქმნის სპეციალურ კომისიას, ხოლო კომისია იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 2 კალენდარულ დღეში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.

13. მსმენელს კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

14. განცხადების განხილვის შედეგად, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მიღებული შედეგი აისახება შესაბამისი სწავლის შედეგების განმორებითი დადასტურების უწყისში.

15. მსმენელთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია/შეფასების ინსტრუმენტები, მსმენელთა ნაშრომები და სხვა ინახება კოლეჯში ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთან მოცემული პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო მსმენელთა შეფასების უწყისები და ოქმები ინახება კოლეჯში უვადოდ დირექტორის მოადგილესთან სასწავლო საწარმოო დარგში.

16. აღნიშნული პროდუქტი შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება „საქმისწარმოების ერთიანი წესების“ შესაბამისად.

17. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების და ტრენინგ-კურსების დასრულების შემდგომ სამსახურეობრივი ბარათით შემოდის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი შემდგომი რეაგირების მიზნით, რის შემდეგაც კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ქმნის სასრტიფიკატო კომისიას, რომელიც განიხილავს მსმენელთა სწავლის შედეგებს. სასერტიფიკატო კომისიაში შესაძლოა შედიოდნენ:

ა) კოლეჯის დირექტორი;

ბ) დირექტორის მოადგილეები;

გ) სასწავლო პროცესის ხელმძღვანელი პირები;

დ) შებამისი პროგრამის განმახორციელებელი პირი;

ე) დამსაქმებლები;

ვ) დარგობრივი ასოციაციის წარმომადგენლები;

ზ) სხვა პირი/პირები კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით.

18. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების და ტრენინგ-კურსების წარმატებით დასრულების შემთხვევაში გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი (დანართით).